პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 144 (4138)

1970 წ. 25 ივლისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● **ერფურტი, 23 ივლისი.** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელთა გუნდმა აქ ანგარიშით 2:0 (1:0) დაამარცხა ადგილობრივი „როტ-ვაისი". ბურთები გაიტანეს ელისეევმა და შილინმა.

● **მესინა,** 23 ივლისი. კალათბურთელ ქალთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრება „მესინის სრუტის პრიზზე" სსრ კავშირის ნაკრების მორიგი გამარჯვებებით აღინიშნა: მან ჯერ ბელგიის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 107:21 (47:5), მერე კი, ტურნირის ბოლო მატჩში, იუგოსლავიის ნაკრებს სძლია — 94:54 (46:26) და წაუგებლად I ადგილიც გაინაღდა. დანარჩენმა გუნდებმა ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები: საფრანგეთი, იტალია, იუგოსლავია, ბელგია.

● **სოფია,** 23 ივლისი. ბულგარეთის დედაქალაქის ფეხბურთელთა გუნდმა „ლევსკიმ" პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოიხვეჭა ქვეყნის ჩემპიონის წოდება — 50 ქულა დააგროვა.

● **ვარშავა,** *23 ივლისი. პოლონეთის გარშემო ველორბოლაში წარმატებით აიღეს სტარტი მოლდავეთის წარმომადგენლებმა ი. პოლუპანოვმა და ნ. სლობოდენიუკმა: პირველი ეტაპი (კუროვო — ზამოსციე, 164 კმ) მათ ლიდერთა პირველ ათეულში დაამთავრეს ერთნაირი დროით — 3:27.14. ეტაპი მოიგო ცნობილმა პოლონელმა ველოსიპედისტმა ზ. ჩეხოვსკიმ. შეჯიბრებაში ასზე მეტი მრბოლელი მონაწილეობს. სხვა საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც მოლდავეთის ღირსებას იცავენ, ჯერჯერობით ასეთ ადგილებზე არიან: 28. ვ. პეტროვი, 57. დ. ტრიშინი, 60. ნ. შიმენკო, 76 ი. მოსკალიოვი.*

● **ბუქარესტი, 23 ივლისი.** არადის ფეხბურთელთა გუნდმა უტ-მა რუმინეთის ჩემპიონის წოდება მოიპოვა 39 ქულით. II ადგილზეა დედაქალაქის „რაპიდი" — 37 ქულა.

● **დებრეცენი,** 23 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში 10-10 ქულა (13-დან) დააგროვეს უნგრელმა დიდოსტატმა ი. ბილეკმა და საბჭოთა საერთაშორისო ოსტატმა ვ. სავონმა, მაგრამ პირველობა ბილეკს მიეკუთვნა, ვინაიდან მას სავონზე ერთით მეტი მოგება (6) ჰქონდა. ტურნირში, რომელიც გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკის გ. მაროცის ხსოვნას მიეძღვნა, კიდევ ორი საბჭოთა დიდოსტატი თამაშობდა: ე. გუფელდმა IV ადგილი (9 ქულა) დაიკავა, ა. ზაიცევმა კი V (8,5).

● **სოფია,** *23 ივლისი. ბულგარეთის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში დამაჯერებლად ლიდერობს რსფსრ-ს მსროლელთა ნაკრები. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში პირველი იყო ნოვოსიბირსკელი ვ. აგიშევი — 1153 ქულა. II ადგილზეც ამ გუნდის წარმომადგენელია — კალინანელი ვ. ეჟოვი — 1148 ქულა. III ადგილი დაიკავა რუმინელმა ს. ტოიაშვა — 1147. პისტოლეტით სროლაში ბადალი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს, მოსკოვის დინამოელ გ. კოსიხს — 589 ქულა. II ადგილზეა რუმინელი ლ. ჟუშკა — 585, III — ჯ. ჰარტი (ჩეხოსლოვაკია) — 585.*

● **ლიუბლინი, 23 ივლისი.** პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის სახელობის VI საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის თასი მოიპოვა გდრ-ის წარმომადგენელმა ესპიგმა. 13 ტურის მანძილზე მან 10 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგი აქვს მასპინძელ შმიდტს. ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეები.

● **ორიოლი,** 23 ივლისი. დოსააფის ცენტრალური სპორტულ-საპლანერო კლუბის აეროდრომზე დაიწყო ქვეყნის უძლიერეს პლანერისტთა შეჯიბრება. ეს ასპარეზობა ამასთანავე სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის ფინალი და სსრ კავშირის ჩემპიონატიც გახლავთ. ჩქაროსნული ფრენა 100-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტით, რომელიც მონაწილეთა უმრავლესობისთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენდა, ახლა „კერკეტი კაკალი" გამოდგა. ამინდი ჭირვეულობდა: ხან წვიმა და ჭექა-ქუხილი იყო, ხან ძლიერი ქარი. ზოგჯერ სულ გამოიდარებდა და ჰაერის ნაკადი — პლანერის ენერგიის წყარო — ძალიან სუსტდებოდა. 54-დან 14 სპორტსმენმა მხოლოდ მაღალი ოსტატობისა და სპორტული იღბლის წყალობით გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ი. კუზნეცოვმა — IV სპარტაკიადის ჩემპიონმა. ქვეყნის შარშანდელ აბსოლუტურ ჩემპიონს, კიეველ ე. რუდენსკის II ადგილი ხვდა. ქალებში გაიმარჯვა ლიტველმა პლანერისტმა ს. სუდეიკიტემ.

● **ლიპეცკი,** 23 ივლისი. მხატვრულ ტანმოვარჯიშე გოგონათა აქ დაწყებულ საკავშირო ჩემპიონატში კარგი დებიუტი ჰქონდათ „ტრუდის" წარმომადგენლებს გ. შაფროვასა და ვ. პეშკოვას. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გ. შუგუროვა, ინტერვიზიის თასის მფლობელი ე. ლეონტიევა და სხვა ცნობილი ოსტატები, შაფროვა და პეშკოვა სავალდებულო პროგრამის ორი ვარჯიშის შემდეგ ლიდერები გახდნენ: პირველმა 17,95 ქულა მოაგროვა, მეორემ — 17,35.

პოზნანი, 23 ივლისი. პოლონეთის მშვილდოსანთა შეჯიბრებაში 42 წლის ირენა შიდლოვსკამ 60 მეტრიდან ისრის ტყორცნაში 317 ქულა მოაგროვა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ე. ტესენს (უნგრეთი) და 313 ქულას უდრიდა.

ედინბურგი, 23 ივლისი. ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების აქ მიმდინარე თამაშებში 17 წლის იამაიკელმა მძლეოსანმა მერილინ ნეიფვილმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 51 წამი. ძველი რეკორდი, რომელიც ფრანგებს კ. ბესონსა და ნ. დიუკლოს ეკუთვნოდათ, 0,7 წამით გაუმჯობესდა.

პარიზი, 23 ივლისი. „კოლომბის" ოლიმპიურ სტადიონზე ფრანგმა მძლეოსანმა ჟ. ვადუმ ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 3.34,0. ძველი მიღწევა აგერ უკვე ოთხი წელია მის თანამემამულე მ. ჟაზის ეკუთვნოდა. ვადუს სულ რაღაც 0,9 წამი არ ეყო ამერიკელი ჯ. რაიანის მსოფლიო რეკორდამდე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარშან გამართულ ევროპის IX ჩემპიონატში (ათენი) ვადუ ამ დისტანციაზე მხოლოდ მეექვსე იყო.

**დღეს ნომერში**

- რუსთაველი ფეხბურთელები ისევ დაწინაურდნენ
- ნ. თუხარელისა და ა. ივანოვას კარგი სტარტი

# ჰაერში მოპოვებული ოქრო

ლონდონი, 23 ივლისი. მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში, რომელიც ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა ჰალავინგტონის ბაზაზე ტარდება, დასკვნით სტადიაში შევიდა. დაიწყო ფინალური შეჯიბრება, რომელშიც 25 ვაჟი და 5 ქალი მონაწილეობს. მათ ეს უფლება სსრ კავშირის, ინგლისის, აშშ-ს, უნგრეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გფრ-ის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ოსტატთა დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს.

საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ ჩემპიონატის სამ წინასწარ სახეობაში. მათ კარგად შეასრულეს სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამები, აგრეთვე, დავალებები, რომლებიც სპორტსმენებს უკვე თვითმფრინავში ჩასხდომის შემდეგ ეძლეოდათ. ახლა ისინი პირად პირველობაში გამარჯვების რეალური პრეტენდენტები არიან. ი. ეგოროვი, რომელიც ასპარეზობის დაწყებიდანვე ლიდერობს, სამი პროგრამის შემდეგ კვლავ I ადგილზეა და უახლოეს მეტოქეს 380 ქულით უსწრებს.

ძალიან კარგად გამოდიან საბჭოთა ქალები. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა ს. სავიცკაიამ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. იგი ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა, მაგრამ არც ერთხელ არ დაუთმია პირველობა აშშ-სა და გფრ-ის გამოცდილი სპორტსმენებისთვის. II ადგილზეა ასევე სსრ კავშირის წარმომადგენელი ზ. ლიზუნოვა (მოსკოვი), III — ამერიკელი გაფენი, IV — საბჭოთა სპორტსმენი ს. პოდოლიაკი.

სულ ფინალში სსრ კავშირის 8 წარმომადგენელი გამოდის.

მოსკოვი. ტურისტებისთვის განკუთვნილი ეს პლასტმასის კატარღა „ლადა" სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, „გემთმშენებლობის" პავილიონში შეგიძლიათ ნახოთ. 4 მგზავრისთვის გათვალისწინებული კატარღის სიგრძე 5 მეტრია, სიგანე — 1,78 მეტრი. მისი სიმძლავრე 16,5 ცხენის ძალას შეადგენს.

ნ. კულეშოვის ფოტო.

ლენინგრადი. ვ. მუხინას სახელობის მხატვრულ-სამრეწველო სასწავლებლის პრაქტიკაში პირველად მოხდა, რომ დიპლომანტთა ნამუშევრები სპორტულ თემას მიეძღვნა.

სურათზე: დიპლომანტი ვ. პეტროვი საგზაო-სარბოლო ავტომანქანა „ფორმულა-2"-ის მოდელით.

მანქანას პლასტმასის კორპუსი და 300-მდე ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა აქვს. ამ მანქანის თავისებურებას ის შეადგენს, რომ მის შესახვედრად მომავალი ჰაერის ნაკადი ანტიფრთებს ეცემა. ჰაერის დანარჩენი ნაწილი რადიატორში გავლის შემდეგ კვლავ ხვდება კორპუსს და უკანა ფრთებს, რის წყალობითაც მანქანის კორპუსი კარგად ეხება მიწას უოველგვარი სისწრაფის დროს.

ამ სარბოლო მანქანას, რომელსაც პირობით „ლენინგრად-2" ჰქვია, გამოიყენებენ სერიული წარმოებისთვის მე-2 ავტოსარემონტო ქარხანაში.

ა. ვოიჩუკის ფოტო.





სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 62:95 (36:46).

თბილისი: ქორქია (9), საკანდელიძე (8), მოლქვაძე (8), ნარიმანიძე (6), უგრეხელიძე (6), მოსეშვილი (5), სხიერელი (4), ჩიხლაძე (4), ალთაბაევი (4), ვასიუტინსკი (4), ფიცხელაური (4), ქარაბაკი.

მოსკოვი: სოკოლოვი (24), ხოლოგუბი (17), ბოლოშევი (15), ხასტუხოვი (14), ავრაამოვი (6), პეტროვი (6), შალამოვი (5), სუჩკოვი (4), გოლუბკოვი (4), კოროლიოვი.

მსაჯები: ი. იანკაუსკასი (ვილნიუსი), პ. ბუჟიდასი (კლაიპედა).

# თუ რწმენაც ღალატობს

სალაპარაკო თითქოს არაფერია, აბ კი რა უნდა იყოს ასეთი უმოწყალო მარცხის შემდეგ? გვაჯობეს, დაგვჯაბნეს, — მორჩა და გათავდა.

ხომ არ იყო მოულოდნელი ესოდენ დიდი სხვაობა ანგარიშში? შესაძლოა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც, გულის სიღრმეში, წყალწაღებულივით ხავსს ვებღაუჭებით და გვჯერა, ყოველ შემთხვევაში, სურვილი გვაქვს დავიჯეროთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი სხვაგვარად წარმოგვიდგება.

მოსკოვის „დინამოსთან" თამაში არ გვიყვარს — ეს ყველამ იცის და სრულიადაც არაა საჭირო გავიხსენოთ პირველი წრის მწარე გაკვეთილი. მოსკოვის „დინამო" ჩვენთვის განსაკუთრებით უხერხული მეტოქეა. მაგრამ ვაი, რომ ბოლო ხანს ასეთი მეტოქეები მოგვიმრავლდა. სხვათა შორის, თითო ოროლა მოსკოვის „დინამო" სხვებსაც ჰყავთ, მაგრამ ისე უიმედოდ არავინ ელის თავის განაჩენს, როგორც ჩვენ. სხვები ცდილობენ, იბრძვიან, ყოველ ქულას, ყოველ ხელსაყრელ მომენტს კბილებით ებღაუჭებიან და, თუ კი ვერ აღწევენ წარმატებას, იმით მაინც ინუგეშებენ თავს, რომ ყველა ხერხი და და გზა ამოწურეს, ყველაფერი სცადეს და იღონეს.

სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ორი „დინამოს" ურთიერთობაში არ არსებობს. და, რაც ყველაზე მეტად გულდასაწყვეტია, თბილისელები ბედს შერიგებულნი ამთავრებენ თავიანთ არც ისე სახარბიელო მისიას ამ ჩემპიონატში. ძალიან ცუდი სიმპტომია: გუნდმა დაკარგა საკუთარი ძალის რწმენა და სანიში ფსიქოლოგიური ტრავმის ანაბარა დარჩა.

თუმცა, არც მოსკოვის „დინამო" ბრწყინავდა მაინცდამაინც ამ დღეს და მხოლოდ ის იყო გასაკვირი, რომ მწვრთნელი ე. გომელსკი თავს მშვიდად გრძნობდა. მან, როგორც ჩანს, თბილისელთა თამაშში ამოიკითხა ის, რაც საბოლოოდ უნდა მომხდარიყო და მოთმინებით ელოდა თავისი წინასწარმეტყველების ახდენას.

მოედანზე კი... საკმაოდ მონოტონურ ბრძოლაში მასპინძლები ნელნელა ინაზღაურებდნენ სტარტის დანაკლისს. ერთი კულმინაცია იყო, როცა სტუმრები 16 ქულით დაწინაურდნენ და თამაშიც თითქოს დამთავრდა. მერე მასპინძლებმა პირველად და უკანასკნელად გაიბრძოლეს და სხვაობა 10 ქულით შემცირდა. კიდევ ცოტაც და, ვინ იცის, იქნებ ის 6 ქულაც მიელოთ თბილისელებს, მაგრამ რამდენიმე ზედმეტი ნაბიჯის გადასადგმელად მათ გამბედაობა აღარ ეყოთ.

ცოდვა იქნება, თბილისელებს მოუნდომებლობა დავწამოთ. შესაძლოა მათ არასდროს ჰქონიათ გულშემატკივრების წინაშე თავის მართლების ისეთი დიდი სურვილი, როგორც ახლა, მაგრამ...

ნ. ზუზუშვილი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ერთ რიგად ჩამწკრივებული კალათბურთელები მშვიდად ელიან „კვანძის გახსნას".

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 31 | 28 | 3 | 2588—2159 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 33 | 25 | 8 | 2510—2204 | 25 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 29 | 21 | 8 | 2304—2097 | 21 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 31 | 21 | 10 | 2413—2337 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 32 | 20 | 12 | 2626—2463 | 20 |
| „კალევი" (ტარტუ) | 31 | 17 | 14 | 2445—2406 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 30 | 14 | 16 | 2367—2447 | 14 |
| ასკ (კიევი) | 29 | 10 | 19 | 2078—2158 | 10 |
| ასკ (რიგა) | 32 | 10 | 22 | 2380—2556 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 31 | 8 | 23 | 2231—2508 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 31 | 6 | 25 | 2284—2606 | 6 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 30 | 5 | 25 | 2201—2481 | 5 |

ჭადრაკი

## საჩუქარი მოჭადრაკეებს

ცხაკაიაში ჭადრაკს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამას წინათ მათ რაიონის მესვეურთა მზრუნველობით მიიღეს კეთილმოწყობილი საჭადრაკო კლუბი, სადაც ყველა სახის შეჯიბრება შეიძლება ჩატარდეს.

კლუბში უკვე გაჩაღდა მუშაობა. ბავშვები სწავლობენ თამაშს, ეწყობა ტურნირები.

ოფიციალურად კლუბი სექტემბერში გაიხსნება.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## წაუგებლად

კასპის სპორტდარბაზში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რაიონული პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდები.

წარმატებით იასპარეზა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდმა. მან დაამარცხა ყველა მეტოქე, მათ შორის, ქარხანა „კასპიელექტროაპარატის", ოკამის საბჭოთა მეურნეობის, დოესის კოლმეურნეობისა და სხვა კოლექტივები, მოიპოვა რაიონის ჩემპიონობა და გარდამავალი თასი.

II ადგილზეა საკონსერვო ქარხნის გუნდი, III — ცემენტის ქარხნის ნაკრები.

ვ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კასპი.

## ოლქებიდან, რაიონებიდან

### ზუგდიდი

რუხის სპორტდარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ I ადგილი მოიპოვეს ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

ზ. ალშიბაია.

### ონი

ამას წინათ რაიონული სპარტაკიადის პროგრამის შესაბამისად ჩატარდა შეჯიბრებები ჭადრაკსა და ფრენბურთში. ჭადრაკში ვაჟთა შორის პირველობა დაისაკუთრა ვ. გუგეშაშვილმა (განათლების მუშაკთა პროფკავშირი), ქალთა შორის — ქ. გაგნიძემ (სოფ. უწერა). გუნდურ ჩათვლაში I–III ადგილები გაიყვეს ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს, განათლების მუშაკთა და სოფ. უწერის ფიზკულტურის კოლექტივებმა. ფრენბურთელ ვაჟებში პირველობა მოიპოვეს ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს წარმომადგენლებმა. ქალთა შორის გაიმარჯვა სოფ. სორის ფიზკულტურელთა კოლექტივმა. სპარტაკიადას ლიდერობენ სორელები.

დ. ხახიაშვილი.

### ჩოხატაური

სოფლის ფეხბურთელთა 10 კოლექტივი მონაწილეობდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ქვენობნის კოლმეურნეობის გუნდები. საინტერესო შეხვედრა მოიგეს ტექნიკუმელებმა (1:0) და თასიც მათი კუთვნილება გახდა.

დ. ბურჭულაძე.

# ქალები — 48:26, ვაჟები — 55:52

ლენინგრადი, 24 ივლისი (ტელეფონით). ნევისპირა ქალაქში სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა IX ტრადიციული მატჩის მაღალ დონეზე გამართვისთვის თავის დროზე იზრუნეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ლენინის სახელობის სტადიონის სარბენი ბილიკებისა და მძლეოსნური სექტორების რეკონსტრუქციას. მატჩმა, რომელშიც მესამე გუნდის სახით სსრ კავშირის მეორე ნაკრების წევრები და ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ფინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის საუკეთესო ათლეტებიც მონაწილეობენ, გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია: ორივე დღისთვის ყველა ბილეთი სტარტამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

ამერიკისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა წინა რვა შეხვედრაში აშშ-ს სპორტსმენებმა მხოლოდ ორჯერ (1958 და 1964 წ.წ.) გაიმარჯვეს და ორივეჯერ შინ, ლოს-ანჯელესში. 6 მატჩი საბჭოთა მძლეოსნებმა მოიგეს. აშშ-ს ნაკრებმა, რომელიც მთლიანად ახალგაზრდულია (გუნდში ერთი ოლიმპიური ჩემპიონიც კი არ გამოდის), ლენინგრადში ჩამოსვლამდე ევროპაში ორი მატჩი გამართა: საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრა მოიგო, გფრ-ის გუნდთან კი დამარცხდა. მაგრამ, როგორც ამერიკელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლ. უოკერმა განაცხადა, ამერიკელები ძალებს სსრ კავშირის ნაკრებთან ასპარეზობისთვის ინახავდნენ.

სტარტის წინ ძლიერმა წვიმამ ბილიკები და სექტორები „დაამძიმა", ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ რეკორდები მოსალოდნელი არ იყო. ამის მიუხედავად, სპორტსმენებმა პირველივე დღეს რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს.

პირველად სტარტი ათქიდელებმა აიღეს. მათ ბრძოლა 100 მეტრზე რბენით დაიწყეს, მერე კი სიგრძეზე სტომაში იასპარეზეს. ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ვ. შჩერბატიხი.

გუნდებს ყველა სახეობაში 2-2 ათლეტი გამოჰყავთ. გამარჯვებული კოლექტივს 5 ქულას აძლევს, II ადგილზე გასული — 3, მესამე პრიზიორი — 2, ხოლო მეოთხე ადგილზე გასული — 1 ქულას (უკონკურსოდ მონაწილე მესამე გუნდის წევრები მატჩში მებრძოლებს ქულების განაწილებაში არ ეცილებიან).

ქულების ანგარიში 100 მეტრზე მორბენალმა ქალებმა გახსნეს. ბილიკების მიხედვით სტარტზე გამოვიდნენ გ. ბუხარინა (სსრკ II), ლ. გოლომაზოვა (სსრკ I), აშშ-ს ჩემპიონი ა. დევისი, ნ. ბესფამილნაია (სსრკ I), კ. ბოუტი (აშშ) და ე. ბალაშოვა (სსრკ II). მათ შორის წლეულს ყველაზე კარგი შედეგი (11,2) დევისს ჰქონდა. ეს უპირატესობა მან ახლაც დაამტკიცა. დისტანცია 11,7 წამში გაირბინა და 0,2 წამით მოუგო II ადგილზე გასულ ბესფამილნაიას. მესამე იყო ბუხარინა. ანგარიში გაიხსნა — 6:5 აშშ-ს გუნდის სასარგებლოდ.

ქალები ვაჟებმა შეცვალეს და მასპინძლებმა რევანში აიღეს. გამარჯვებას აშშ-ს ჩემპიონს ა. კროკენს (მისი საუკეთესო შედეგია 10,0) უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ბორზოვმა 10,4 აჩვენა და მეტოქეს 0,1 წამი მოუგო. მასპინძელთა გუნდის მეორე წევრი, ბაქოელი ა. კორნელიუკი IV ადგილს დასჯერდა.

მასპინძლები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ქალთა შეჯიბრებაში: მოიგეს 400 და 1500 მეტრზე რბენა, 4×100 მეტრზე ესტაფეტა, ბადროს ტყორცნა, შუბის ტყორცნა... სამაგიეროდ, სტაიერი ვაჟები მოულოდნელად დამარცხდნენ.

10000 მეტრზე რბენაში აშშ-ს გუნდის წევრებს — 22 წლის ფ. შორტერსა და 23 წლის კ. მურს წლეულს უკეთესი მაჩვენებლები (28.22,0 და 28.47,5) ჰქონდათ, ვიდრე მათს მეტოქეებს — 26 წლის ლ. შიკიტენკოსა (28.56,4) და 36 წლის ნ. სვირიდოვს (28.52,0). მაგრამ მასპინძლები სტარტზე საკუთარი კედლების იმედითაც გამოვიდნენ. თავიდან ისინი დაწინაურდნენ კიდეც. 3 კმ-ის შემდეგ წინ სვირიდოვი გაიჭრა, მას შორტერი აედევნა ჩრდილივით, მური კი მეექვსე მირბოდა. შორტერმა მეხუთე კილომეტრზე ტემპს ერთბაშად უმატა და საგრძნობლად დაწინაურდა. 5 კმ 13 წუთსა და 55,5 წამში გაირბინა და ღირსეული მეტოქეები რომ ჰყოლოდა, 10 კილომეტრზე 28 წუთის ფარგლებიდან გამოვიდოდა. ბოლო 5 კილომეტრზე შორტერს ბრძოლა ფაქტიურად წამზომებთან უხდებოდა და ამიტომ ტემპიც შეანელა. საბოლოოდ მისი შედეგია 28.22,8.

ასევე მოულოდნელი იყო მურის II ადგილი. ფინიშამდე სამი წრით ადრე მან ტემპს უმატა და ბოლო სწორზე უკვე მეორე იყო — 28.50,2, III ადგილზეა შიკიტენკო — 28.51,4. რაც შეეხება სვირიდოვს, მას ვ. ალანოვმაც (სსრკ II) აჯობა.

საინტერესო ამბავი მოხდა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ასპარეზობის დროს. ამერიკელებს დ. რომანსკის (1:30,00) და თ. დულგის (1:32.00) წლეულს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ, ვიდრე მასპინძელთა გუნდის წევრებს — მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს ვ. გოლუბნიჩის (1:33.54) და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ნ. სმაგას (1:33.09). მაგრამ ამჯერად სტუმრები აშკარად ჩამორჩნენ. ისინი საერთოდ ვერ გავიდნენ საპრიზო ადგილზე, ვინაიდან მესამე იყო ბ. იაკოვლევი (სსრკ მეორე გუნდი, 1:29.37,0).

სტადიონზე პირველი სმაგა შემოვიდა. გოლუბნიჩი მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა და ბოლო სწორზე გაუსწრო კიდეც. მაგრამ სმაგამ იმდენი მოახერხა, რომ მაინც დაეწია. საბოლოოდ თანაგუნდელებმა ერთნაირი დრო (1:28.34,4) აჩვენეს.

სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი, სოხუმელი ვ. სანეევი მუდამ მდევრის როლშია და დღემდე მუდამ იმარჯვებდა. იგი აქაც ამ როლს ასრულებდა. პირველი ცდით სანეევი 16,21 მეტრზე გადახტა, მისი თანაგუნდელი გ. ბესონოვი — 16,25 მეტრზე. შემდეგ სოხუმელი დაწინაურდა (16,56), მაგრამ ახლა ვ. კურკევიჩმა (სსრკ II) გაუსწრო — 16,60. იტალიელი ჯენტილე, ამერიკელები ნ. ტეიტი და გ. ტიფი მასპინძლებს აშკარად ჩამორჩებოდნენ. საბოლოოდ იმარჯვა კურკევიჩმა.

პირველი დღის (17 სახეობა) შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ — 103:78 (ქალები — 48:26, ვაჟები — 55:52).

### სხვა ტექნიკური შედეგები —

**ქალები. რბენა 400 მ.** ვ. პოპკოვა (სსრკ I)—54,1, კ. ჰემონდი (აშშ) 54,8, რ. ნიკონოროვა (სსრკ I)—55,2; **1500 მ.** ლ. ბრაგინა (სსრკ I) — 4.16,8, ტ. გიმატოვა (სსრკ II) — 4.20,0, თ. პანგელოვა (სსრკ I) — 4.26,0; **ესტაფეტა 4×100 მ.** სსრ კავშირი (ლ. ქარკოვა, ლ. გოლომაზოვა, მ. ნიკიფოროვა, ნ. ბესფამილნაია) — 44,8 (სეზონის საუკეთესო შედეგი სსრ კავშირში), აშშ — 45,0; **ბადროს ტყორცნა.** თ. მელნიკი (სსრკ II) — 57,96, ი. ხოლონცევა — 56,64, თ. დანილოვა (ორივე — სსრკ I) — 56,36; **შუბის ტყორცნა.** მ. საულიტე (სსრკ II) — 55,08, ვ. ევერტი (სსრკ I) 53,30, ა. სადოვნიჩაია (სსრკ II)—53,04; **სიმაღლეზე ხტომა.** ა. ლაზარევა — 180, ა. გერტიგი (ორივე—სსრკ I) — 176, ნ. ჟდანი (სსრკ II) — 173.

**ვაჟები. რბენა. 400 მ.** უ. კოლეტი — 45,7, ჯ. სმითი (ორივე — აშშ) — 46,4, ა. ბრატჩიკოვი (სსრკ I) — 46,7; **800 მ.** ე. არჟანოვი (სსრკ I) — 1.45,6, ი. პლაჩი (ჩეხოსლოვაკია) — 1.46,0, მ. უინცენტიდი (აშშ) — 1.46,4; **ესტაფეტა 4×100 მ.** აშშ (კროკენი, ვოუხი, ჰარტი, ტეილორი) — 39,1, სსრ კავშირი — 39,2; **110 მ თარჯრბენა.** მ. უოკერი — 13,8, თ. ჰილი (ორივე — აშშ) — 14,1, ვ. ბელიხინი (სსრკ I) — 14,5; **ბირთვის კვრა.** ნ. კარასიოვი—19,74, ა. ფოიერბახი — 19,36; ე. ვილჰელმი (ორივე — აშშ) — 19,01; **უროს ტყორცნა.** ა. ბონდარჩუკი — 72,48, რ. კლიმი—70,02, ჯ. ფრენი (აშშ) — 64,29; **სამხტომი** — ვ. კურკევიჩი (სსრკ II) — 16,60, ვ. სანეევი — 16,56, ბესონოვი (ორივე — სსრკ I) — 16,25.

# თბილისის „დინამო" და „ნევთჩი"—თასზე

დღეს ჩვენს სტადიონზე სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩია ადგილობრივ „დინამოსა" და ბაქოს „ნევთჩის" შორის.

რა თქმა უნდა, ეს პირველი არაა, როცა თბილისელი და ბაქოელი ფეხბურთელები თამაშობენ ერთმანეთთან სსრ კავშირის თასზე. თბილისის „დინამო" და ბაქოს „ტემპი" ჯერ კიდევ 1936 წელს, თასის პირველ გათამაშებაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ თბილისელებმა დამატებით დროში შეძლეს მეტოქის დამარცხება — 3:2.

1937 წელს თბილისელთა მოწინააღმდეგე იყო ბაქოს „ნეფტიანიკი", გამარჯვება მაშინაც დინამოელებს ხვდათ — 3:0.

1944 წელს თასის მორიგ გათამაშებაში თამაშობდნენ თბილისისა და ბაქოს დინამოელები. გაიმარჯვეს ბაქოელებმა — 2:1.

1967 წელს ბაქოს „ნეფტიანიკი" და თბილისის „დინამო" ერთმანეთს შეხვდნენ მერვედფინალში. „ნეფტიანიკმა" შეძლო გამარჯვების მოპოვება — 2:1.

ამრიგად, სსრ კავშირის თასის ისტორიაში დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს შეხვდნენ სულ ოთხჯერ. ანგარიშია 2:2.

თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალისკენ დღევანდელ მეტოქეებს ასეთი გზა ჰქონდათ:

**„დინამო" (თბილისი).** მეთექვსმეტედფინალი: თბილისის „ლოკომოტივთან" — 1:0, 4:2. მერვედფინალი: ქუთაისის „ტორპედოსთან" — 1:1, 0:0. თბილისელებს უპირატესობა მიეკუთვნათ სსრ კავშირის ნაკრებში გაგზავნილ მოთამაშეთა გამო. **მეოთხედფინალში** დინამოელებმა ოდესაში მოუგეს „ჩერნომორეცს" — 2:1.

**„ნევთჩი" (ბაქო).** მეთექვსმეტედფინალი: ალმა-ათის „ყაირათთან" — 0:0, 2:1. მერვედფინალი: ტაშკენტის „ფახთაქორთან" — 4:0, 2:4. **მეოთხედფინალში** ბაქოელებმა საკუთარ მინდორზე მოუგეს მოსკოვის „სპარტაკს" — 1:0.

| 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი |
|---|---|---|---|
| 1 „დინამო" კ. / 2 „ზარია" | „დინამო" კ. 3:0, 0:1 | „დინამო" კ. 2:1 | |
| 3 ცსკა / 4 „ზენიტი" | „ზენიტი" 3:2, 4:2 | | |
| 5 „ტორპედო" მ. / 6 „დინამო" მნ. | „ტორპედო" მ. 1:0, 0:0 | „დინამო" მ. 3:0 | |
| 7 „დინამო" მ. / 8 „კარპატი" | „დინამო" მ. 1:0, 0:0 | | |
| 9 „დინამო" თბ. / 10 „ტორპედო" ქ. | „დინამო" თბ. 1:1, 0:0 | „დინამო" თბ. 2:1 | |
| 11 „ჩერნომორეცი" / 12 „ავანგარდი" ხარკ. | „ჩერნომორეცი" 0:0, 4:0 | | |
| 13 „სპარტაკი" მ. / 14 „ფალგირისი" | „სპარტაკი" მ. 3:1, 0:1 | „ნევთჩი" 1:0 | |
| 15 „ნევთჩი" / 16 „ფახთაქორი" | „ნევთჩი" 4:0, 2:4 | | |

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კარპატი" (ლვოვი) | 21 | 12 | 7 | 2 | 31—9 | 31 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 20 | 11 | 6 | 3 | 34—12 | 28 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 20 | 11 | 5 | 4 | 23—9 | 27 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 20 | 7 | 12 | 1 | 24—12 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 20 | 10 | 5 | 5 | 22—11 | 25 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 20 | 9 | 6 | 5 | 21—14 | 24 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 21 | 6 | 11 | 4 | 13—9 | 23 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 20 | 8 | 6 | 6 | 23—19 | 22 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 20 | 8 | 6 | 6 | 16—18 | 22 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 20 | 7 | 7 | 6 | 18—20 | 21 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 20 | 6 | 8 | 6 | 17—15 | 20 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 20 | 8 | 4 | 8 | 18—28 | 20 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 20 | 5 | 9 | 6 | 20—17 | 19 |
| „პამირი" (დუშანბე) | 20 | 6 | 6 | 8 | 20—23 | 18 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 20 | 6 | 6 | 8 | 22—27 | 18 |
| ასკ (კიევი) | 20 | 7 | 3 | 10 | 22—23 | 17 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 20 | 5 | 7 | 8 | 12—19 | 17 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 20 | 5 | 6 | 9 | 15—20 | 16 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 20 | 6 | 2 | 12 | 16—25 | 14 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 20 | 4 | 6 | 10 | 12—24 | 14 |
| „დაუგავა" (რიგა) | 20 | 3 | 8 | 9 | 12—25 | 14 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 20 | 2 | 2 | 16 | 11—43 | 6 |

### გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი

მდგომარეობა 25 ივლისისთვის

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 20 | 10 | 7 | 3 | 26—6 | 27 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 20 | 9 | 8 | 3 | 24—11 | 26 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 20 | 9 | 8 | 3 | 25—18 | 26 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 20 | 10 | 5 | 5 | 30—19 | 25 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 20 | 11 | 3 | 6 | 29—18 | 25 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 23—18 | 24 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 20 | 8 | 8 | 4 | 19—18 | 24 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 20 | 8 | 7 | 5 | 22—25 | 23 |
| „დილა" (გორი) | 20 | 8 | 5 | 7 | 28—24 | 21 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 20 | 6 | 8 | 6 | 22—20 | 20 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 20 | 8 | 4 | 8 | 21—20 | 20 |
| „ვოლგა" (გორკი) | 20 | 7 | 6 | 7 | 24—24 | 20 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 20 | 7 | 5 | 8 | 24—26 | 19 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 20 | 7 | 5 | 8 | 17—20 | 19 |
| „დინამო" (ბათუმი) | 20 | 7 | 5 | 8 | 16—20 | 19 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 20 | 7 | 4 | 9 | 22—20 | 18 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 20 | 7 | 4 | 9 | 20—25 | 18 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 20 | 5 | 8 | 7 | 18—24 | 18 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 20 | 4 | 9 | 7 | 16—17 | 17 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 20 | 4 | 5 | 11 | 16—32 | 13 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 20 | 2 | 6 | 12 | 8—25 | 10 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 20 | 1 | 6 | 13 | 9—35 | 8 |

„ბ" კლასი

## „მეტალურგი" კვლავ ლიდერია

„ბ" კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე რუსთავის „მეტალურგს" ზედიზედ მოუწია ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრამ. მეტალურგებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო მატჩები, გაიმარჯვეს და კვლავ დაიბრუნეს ლიდერის მდგომარეობა.

22 ივლისს რუსთაველებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ნოვოროსიისკის „ცემენტი". ეტყობოდა, სტუმრები საგანგებოდ მოემზადნენ ლიდერთან შესახვედრად და ამიტომ დიდი აქტიურობით დაიწყეს თამაში. მათ რამდენიმე საიერიშო კომბინაცია განახორციელეს, მაგრამ საკმარისი იყო „მეტალურგი" კონტრშეტევაზე გადასულიყო და უკვე მე-8 წუთზე „ცემენტის" კარი აღებულ იქნა. ფედიაევი სწრაფად შეიჭრა სტუმრების დაცვაში, მოატყუა მეკარეც და ლობჟევს ბურთი გადასცა იმ სიტუაციაში, როცა ამ უკანასკნელს სხვა არაფერი მოეთხოვებოდა ზუსტად დახვედრებინა ფეხი ბურთისთვის — 1:0.

გავიდა ათიოდე წუთი და მასპინძელთა იერიშისას გამეორდა ზუსტად იგივე კომბინაცია ფედიაევი — ლობჟევი და ანგარიში გახდა 2:0.

ცხადი შეიქნა, რომ „მეტალურგი" ხელიდან აღარ გაუშვებდა მონაპოვარს და, მართლაც, „ცემენტის" კარი კიდევ ერთხელ იქნა აღებული. ამჯერადაც გოლის თანაავტორი ლობჟევი გახლდათ. მან ზუსტად გადასცა ბურთი ხვედელიძეს, რის შემდეგ სტუმრებს მესამედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან.

საქმე, არსებითად, მოთავებული იყო. და, მაინც, თამაში შესვენების შემდეგაც საინტერესოდ მიმდინარეობდა. რუსთაველმა ფეხბურთელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება — 3:0.

**რ. გაბრიჩიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

### მოკლე ცნობები

„ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფში ასე დამთავრდა: „ალაზანი" (გურჯაანი)—„დინამო" (სოხუმი) 1:1, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:1, „სპარტაკი" (სარანსკი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0.

# საკავშირო უნივერსიადა



## ფიცარნაკზე — 100 ათლეტი

ტაგანროგი, 23 ივლისი. უნივერსიადის პროგრამით მოასპარეზე ძალოსნებმა კომბაინის ქარხნის ახალ სპორტულ დარბაზში დაიწყეს ბრძოლა. უმჩატეს წონაში ჩემპიონი გახდა ყრევნელი სტუდენტი ო. მარტიროსიანი, რომელმაც სამჭიდში 285 კგ დააგროვა. მჩატე წონაში ყველას აჯობა ვ. ალიევმა (უკრაინა) — 320. ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის იმარჯვა ე. ქარიმოვმა (უზბეკეთი) — 370.

შეჯიბრებაში 11 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 100 სპორტსმენი მონაწილეობს.

## „ნასესხები"... სპორტსმენებით

ვორონეჟი, 23 ივლისი. გრძელდება ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება. ყოველ დღეს გუნდურ ჩათვლაში ახალი კორექტივები შეაქვს. ვორონეჟის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის კოლექტივი, რომელიც თავიდან დაწინაურდა, ახლა 48 ქულით III ადგილზეა. მას გაუსწრეს ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტისა (85 ქულა) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (54) გუნდებმა.

სილუეტებზე სწრაფსროლაში ქალთა შორის იმარჯვა ლ. ხომჩენკომ — 568, ვაჟებში — ნ. სკებეცმა (თრივე — რსფსრ) — 585. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) აბსარუტობა შორიგო იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონმა ვ. პოლიაკოვმა (მოსკოვი), რომელმაც 1135 ქულა დააგროვა.

სამწუხაროდ, შეიმჩნევა, რომ ზოგიერთი გუნდის ინტერესებს სხვა კოლექტივების სპორტსმენები იცავენ. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ სომხეთის გუნდის წევრი გ. ფედოტოვა სპორტის ტექნიკური სახეობების სპარტაკიადაში „ამხატანკის" სახელით გამოდიოდა, აქ კი „ბურევესტნიკის" წევრად მოგვევლინა. ასევე გაირკვა, რომ საქართველოს გუნდის ინტერესებს იცავდა ო. ნოვოსელცოვა, ბელორუსიისას — ნ. იოფე, უკრაინისას — ი. ივახოვი, რომელთაც „ბურევესტნიკთან" საერთო არაფერი აქვთ. მსაჯთა კოლეგიამ ასეთ სპორტსმენთა შედეგები სამართლიანად გააუქმა. სწორედ ამის გამო იყო, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში სომხეთის გუნდმა პირველობა დაკარგა (ეს ვარჯიში ფედოტოვას ჰქონდა მოგებული).

## მწვრთნელის წვლილი

დონის როსტოვი, 23 ივლისი. როგორც ვიტყობინებოდით, მშვილდოსანთა შეჯიბრებაში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, მოსკოვი, საქართველო. უკრაინის გუნდის ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა უკრაინის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ხუსკივაძემ, რომელმაც გუნდი შესანიშნავად მოამზადა და თვითონაც ბრწყინვალედ გამოვიდა სარბიელზე. მან ოქროს 3 მედალი დაისაკუთრა. მოიგო 90 და 70 მეტრიდან სროლა და ყველას აჯობა ოთხი დისტანციის ჯამში, როცა 2086 ქულა დააგროვა. მოსკოველი ვ. ხაკულინი მას 9 ქულით ჩამორჩა. ქალთა შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი უკრაინელებმა ვ. კოვპანმა (2158), ს. ხალიუკმა (2074) და გ. სამოლუკმა (2000) მოიპოვეს.

* * *

**რედაქციისგან:** საქართველოს სპორტსმენთა უკანასკნელ გამოსვლებზე ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა დონის როსტოვიდან გუშინ ცნობები ვერ მოგვაწოდა იმის გამო, რომ რედაქციის სასწრაფო შეკვეთა (10 საათზე მიიღო მუშაკმა, რომლის ნომერია 412) საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა შეასრულა მხოლოდ 14 საათსა და 55 წუთზე, მაგრამ ლაპარაკი არ შედგა, ვინაიდან კორესპონდენტი უკვე შეჯიბრებაზე იყო წასული.

ასევე მოხდა გუშინ, როცა გვსურდა თელავთან დაკავშირება და იქაური „კახეთისა" და ეისკის „ტორპედოს" ფეხბურთელთა მატჩის ანგარიშის გაგება. თელავი საერთოდ არ შეგვიერთეს.

რედაქციას ისღა დარჩენია, რომ მკითხველებს ბოდიში მოუხადოს ამ ოპერატიული მასალების გამოუქვეყნებლობის გამო.




# ყველაფერი კარგად ჩანდა

„აცტეკის“ სტადიონის ყველა ადგილიდან ძალიან კარგად ჩანს საფეხბურთო მინდორზე მომხდარი ამბები. მაგრამ მეხიკოში მყოფ ქართველ ჟურნალისტთა შორის იყო ერთი, რომელსაც პრესცენტრში დიდი მოლაპარაკების შემდეგ („ფეხბურთელები უნდა დავხატოო“) უბოძეს სანუკვარი სამკლავე ნიშანი, რომელიც ჯერ მინდორზე გასვლის, თამაშის დაწყების შემდეგ კი კარს უკან წამოწოლის უფლებას იძლეოდა. ეს იყო გიგლა ფირცხალავა. და აი, ურუგვაელებთან საბჭოთა გუნდის თამაშის შემდეგ მან შემოგვჩივლა:

— ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა საოცრად დაბნეული გამოიყურებოდა. თვალები შუბლზე ჰქონდათ, პირდაპირ შოკში ჩავარდნილებს ჰგავდნენ...

ყოველივე ამის დანახვას სამკლავე ნიშანი არ სჭირდებოდა, — ეს, ასე ვთქვათ, ზევიდან — ტრიბუნებიდანაც კარგად ჩანდა.

ეს მომენტი იმიტომ გამახსენდა, რომ სსრ კავშირის ნაკრები ფსიქოლოგიურადაც ცუდად იყო მომზადებული. ფსიქოლოგიურ, მორალურ მომზადებას სხვა გუნდები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და სათანადო სპეციალისტებიც ჰყავთ. როგორც ჩანს, ამ საქმეს მარტო თათბირებისა და კრებების ჩატარება არ ჰყოფნის და მას უფრო ღრმად ჩახედვა ესაჭიროება. და ვინაიდან ფეხბურთელთა გუნდი 11 სავსებით განსხვავებული ადამიანისგან შედგება, აუცილებელია ყოველი მათგანის ცალკე შესწავლა, ყოველი მათგანისადმი დამოუკიდებელი მიდგომა, ყოველი მათგანის „ფსიქოთერაპია“.

საბჭოთა გუნდები მუდამ გამოირჩეოდნენ მაღალი მორალურნებელობითი თვისებებით, ახლა კი, სამწუხაროდ, ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაც სადღაც გამქრალიყო.

გუნდი ძალიან ნერვიულად თამაშობდა, და თუ რომელიმე მცველი (ზოგჯერ ნახევარმცველიც კი) წინ წავიდოდა, მწვრთნელთა სამყოფელიდან დაუყოვნებლივ გაისმოდა პანიკური შეძახილები: „უკან, უკან!“ ცხადია, ეს ვერაფერი წამალია ნერვების დასაწყნარებლად.

ჩამორჩენილი ვჩანდით ტაქტიკის მხრივაც (გუნდის ტაქტიკურ შეიარაღებას ხომ მისი წევრების ტექნიკური მომზადება განაპირობებს!). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთი იყო იმ სამად სამ გუნდში (...ურუგვაი, იტალია), რომლებიც წმინდა „სტოპერით“ თამაშობდნენ.

ფეხბურთის განვითარების დღევანდელმა დონემ კატეგორიულად მოითხოვა გუნდის ყოველი წევრის, ყოველი რგოლის მაქსიმალური მონაწილეობა თამაშში. ბობეკის, ბუცეკისა და „შავი სამუშაოს“ სხვა მათსავით უკადრისების ჟამი წარსულს ჩაბარდა. ახლა, სათამაშო სიტუაციის მიხედვით, მონაცვლეობით ხან დაცვის ჯგუფი ძლიერდება, ხანაც თავდასხმისა. ამ ურთულეს და უძნელეს პროცესს შეუძლებელია არ ჰქონდეს მყარი საძირკველი. ეს საფუძველია ფეხბურთელთა ჩქაროსნული და საერთო გამძლეობა, ნებისმიერ სათამაშო ეპიზოდში მათი მობილურობის უდიდესი ზრდა.

ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაული გახლდათ. ამ ფენომენალური გუნდის ლიდერი პელე ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა და სრულიად ახალი წახნაგებით გაბრწყინდა. ოდნავ უკან დახეული პელე ერთი შეხედვით თითქოს არ გამოირჩეოდა თავისი არტისტული პარტნიორებისგან, მაგრამ კარაიანივით „თვალდახუჭული“ გენიალურად დირიჟორობდა ფეხბურთის ამ მართლაც ჯადოქრების ანსამბლს და მუდამ იქ იყო, სადაც სათამაშო სიტუაცია მოითხოვდა.

მაოცებს ზოგიერთი სპეციალისტის აზრი, თითქოს ბრაზილიის ნაკრებს შედარებით სუსტი დაცვა ჰყავს. როგორ გეკადრებათ! დაცვის რა სისუსტეზე ლაპარაკობთ, როცა ბურთების ბალანსი გუნდს ასეთი აქვს: 19—7 (ამ 19 გატანილ გოლში სწორედ მცველებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი). მარტო კარლოს ალბერტო რად ღირს! გუნდის ძალიან ბევრი შეტევა სწორედ მისგან იწყებოდა, იგი იყო თაოსანი ბევრი კომბინაციისა და თავის ძირითად ფუნქციებსაც სანიმუშოდ ასრულებდა.

ბრაზილიის ნაკრებში ერთადერთი შედარებით სუსტი ადგილი, ჩემი აზრით, მეკარე ფელიქსია. იქნებ სიტყვა „სუსტი“ მეტისმეტია, მაგრამ ამოდენა გუნდს უფრო საიმედო მეკარე ეკადრება. ფელიქსს, მაგალითად, ბევრჯერ ბედმა გაუღიმა, როცა იგი მის კართან ჩამოწოდებულ მაღალ ბურთებზე გამოსვლისას შეცდა...

ასეა თუ ისე, ოქროს ქალღმერთის ლაურეატობის საკითხის გადაწყვეტისას სამართალმა პური ჭამა. მეორე ადგილი კი? ჩემი აზრით, ვერცხლის მედლები ყველაზე მეტად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წევრებს დაშვენდებოდათ.

დანარჩენი გუნდების ადგილებს ასე გავანაწილებდი: ინგლისი, პერუ, იტალია... (განსაკუთრებით აღსანიშნავია პერუს გუნდის საუცხოო თამაში. ამ პირველხარისხოვანი თავდასხმის ხაზის მქონე გუნდს ცოტა უკეთესი მცველები რომ ჰყოლოდა, პერუელები ალბათ კიდევ უფრო უკეთ გამოვიდოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ პერუს ნაკრები ყველაზე სწრაფი გუნდი იყო ჩემპიონატში. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ მექსიკის თამაშების დროს პერუში საშინელი სტიქიური უბედურება — მიწისძვრა მოხდა და ნაკრების წევრთა ბევრი ახლობელი შეიწირა).

აქ შევჩერდები, ვინაიდან ზემოჩამოთვლილი ხუთი კოლექტივი გახლდათ უპირველეს ყოვლისა მექსიკური ბატალიების მედროშე.

ამ ხუთეულს სიძლიერით უახლოვდებიან რუმინეთისა და ურუგვაის გუნდები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელებს ძალიან მოეწონათ რუმინელი თავდამსხმელის დუმიტრაკეს თამაში. მსოფლიო ჩემპიონებმა მას ერთობ სარფიანი კონტრაქტიც კი შესთავაზეს, მაგრამ ამ მეტად ნიჭიერმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა სამშობლოდან გადაბარგება არ ისურვა.

დაბოლოს, მკითხველს მსოფლიოს იდეალური ნაკრების ჩემეული შემადგენლობა მსურს შევთავაზო: მაზურკევიჩი (ურუგვაი), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), მური (ინგლისი), შნელინგერი (გფრ), კუპერი (ინგლისი), ოვერატი, ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), გერსონი, ჟაირზინიო, პელე, რიველინო (ყველა — ბრაზილია).

მ. ჯაჯანაშე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მეხიკო — თბილისი.

(დასასრული იქნება)

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ბრაზილიის ნაკრები (მარჯვნიდან) — ფელიქსი, ჟაირზინიო, პელე, რიველინო, კლოდოალდო, ტოსტაო, ევერალდო, პიაცა, გერსონი, ბრიტო, კარლოს ალბერტო თავიანთი სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს სიმღერით აჰყვნენ სამხედრო ორკესტრს.

# ნორჩი ფოთელი მოშამეები — III ადგილზე

ოდესა, 22 ივლისი. შავი ზღვის ნაპირებზე ერთ თვეს დაჰყო სტუმრად „შაშმა-სასწაულმა“. პიონერული რაზმების საკავშირო ტურნირი დამთავრდა. გამარჯვება და მთავარი პრიზი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თასი — მინსკის მე-16 სკოლის გუნდს ხვდა. VII კლასის მოსწავლეებმა ვ. სვიზინსკიმ და ვ. აკულომ, მერვეკლასელმა მ. ბელსკიმ და მეშვიდეკლასელმა გალინა სელიახმა 56 შესაძლებლიდან 36,5 ქულა მოაგროვეს.

35-35 ქულა აქვთ ზაპოროჟიეს მე-80 და ფოთის მე-9 სკოლების გუნდებს. მოგებათა მეტი რიცხვისთვის II ადგილი და მსოფლიო ჩემპიონთა პრიზი უკრაინელებს ხვდათ. ქართველმა მოსწავლეებმა მ. ტყებუჩავამ, ზ. ხოფერიამ, გ. კურდღელიამ და დარეჯან ახანიძემ დაისაკუთრეს მსოფლიო ჩემპიონის, დიდოსტატ ა. ანდრეიკოს მიერ დაწესებული პრიზი. ამას გარდა, საქართველოს მოშამეებმა „დამატებით ჯილდოდ“ ის მიიღეს, რომ მოიგეს... ფეხბურთელთა ტურნირი.

32 ქულით IV ადგილზე გავიდა ოდესის ოლქის სოფ. ტატარბუნარის საშუალო სკოლის რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილენი — 11 წლის მოსწავლეები ს. პეტროჩენკო და ლ. ოიგერმანი.

პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია მინსკელმა ოსტატობის კანდიდატმა სვიზინსკიმ — 11,5 ქულა 14-დან. გოგონებში უძლიერესი აღმოჩნდა ზაპოროჟიელი ტ. ოხრიმეცი — 12.

(საკდესი).

# 20-ე

◆ ტალინი, 21 ივლისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის საუკეთესო ათეულებში შემავალი ჩოგბურთელების ყოველწლიური ტრადიციული შეჯიბრება. ეს საბჭოთა სპორტსმენების მზადყოფნის თავისებური შემოწმებაა ევროპის მომავალი ჩემპიონატის წინ. პირველ დღეს თბილისელმა ნ. თუხარელმა დაამარცხა ქვეყნის „მეხუთე ჩოგანი“ მ. კული (ესტონეთი) — 6:3, 6:0. მეორე თბილისელმა სპორტსმენმა — ქვეყნის „მეათე ჩოგანმა“ ა. ივანოვამ სძლია ბოლო საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, მოსკოველ რ. ისლანოვას — 6:2, 6:0. სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ო. მოროზოვამ მოუგო მინსკელ ლ. ნოვოშინსკაიას — 6:3, 6:1. ვ. ეგოროვმა (მოსკოვი) აჯობა ესტონელ ი. სიმსონს — 6:1, 6:2, ხოლო ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა — ლენინგრადელ ა. ივანოვს — 6:8, 6:3, 6:0. 29 ივლისს გამოვლინდებიან უძლიერესნი ყველა თანრიგში.

# გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩების შედეგები. საკდესმა არასწორად გადმოგვცა ზოგიერთი შედეგი, რომლებიც ასე უნდა გასწორდეს:

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:2, „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახლების ბავშვთა სპორტული სკოლის ახალ აუზზე გახსნილია ცურვის შემსწავლელი ჯგუფები 5-დან 16 წლის ასაკამდე გოგონებისა და ბიჭებისთვის.

მუშაობს, აგრეთვე, ფასიანი სააბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის ქალებისა და ვაჟებისთვის.

ჯგუფებში ჩასაწერად საჭიროა წარმოადგინოთ ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან და ერთი ფოტოსურათი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აუზის დირექციაში: საირმის ქ. № 51 (საბურთალო).

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




დღეს
სსრ კავშირის თასის გათამაშება
(ნახევარფინალი)



„დინამო“ (თბილისი)—„ნეფთჩი“ (ბაქო)
დასაწყისი 20 საათზე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 08251